ციფრული ჯანდაცვის წიგნიერების გავლენა თვითმკურნალობის პრაქტიკასა და ჯიბიდან გადახდების მოცულობაზე საქართველოში

თეა დუკაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ფრუიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეა დუკაშვილი 21.06.2026

აბსტრაქტი

თანამედროვე პერიოდში ჯანდაცვის სისტემების ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას პაციენტთა მხრიდან არარაციონალური თვითმკურნალობა და მაღალი ჯიბიდან გადახდები წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ და კლინიკურ რისკებს უკავშირდება. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ინტერნეტი სამედიცინო ინფორმაციის მოძიების ძირითად წყაროდ იქცა, თუმცა ონლაინ-სივრცეში არსებულმა დეზინფორმაციამ შესაძლოა გააძლიეროს პაციენტთა შფოთვა (კიბერქონდრია). მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ციფრული ჯანმრთელობის წიგნიერების გავლენა თვითმკურნალობის პრაქტიკასა და მედიკამენტებზე გაწეულ ჯიბიდან გადახდების მოცულობაზე საქართველოში, აგრეთვე დაადგინოს მისი კავშირი კიბერქონდრიის ხარისხთან.

ნაშრომის ფარგლებში განხორციელდა რაოდენობრივი კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო N = 74 რესპონდენტმა. შერჩევის ძირითად ბირთვს უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფი შეადგენდა. ციფრული ჯანმრთელობის წიგნიერების გასაზომად გამოყენებულ იქნა ელექტრონული ჯანმრთელობის წიგნიერების საერთაშორისო სკალა (eHEALS). ცვლადების განაწილების ხასიათიდან გამომდინარე, მათემატიკური კორელაციებისა და დასმული ჰიპოთეზების შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა სპირმენის არაპარამეტრული რანგობრივი კორელაციის კრიტერიუმი (Spearman's ρ), სადაც სტატისტიკური სარწმუნოების დასადგენად განისაზღვრა $\alpha = 0.05$ ($p < 0.05$).

კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას (59.5%) ციფრული ჯანმრთელობის წიგნიერების მაღალი დონე გააჩნია. ჰიპოთეზების შემოწმებისას გამოვლინდა სტატისტიკურად მაღალსარწმუნო, ზომიერი სიძლიერის უარყოფითი

კორელაცია ციფრულ წიგნიერებასა და თვითმკურნალობის სიხშირეს შორის (r_s = -0.41, p < 0.001). ასევე დადასტურდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი კავშირი ელექტრონულ წიგნიერებასა და მედიკამენტებზე გაწეულ ჯიბიდან გადახდების პროპორციულ წილს შორის (r_s = -0.28, p = 0.016). რაც შეეხება ფსიქოლოგიურ ასპექტს, ციფრული წიგნიერების დონესა და კიბერქონდრიის ხარისხს შორის სარწმუნო კორელაცია არ დაფიქსირებულა (r_s = 0.05, p = 0.670).

კვლევის მიგნებები მოწმობს, რომ მაღალი ციფრული წიგნიერება მოქმედებს როგორც დამცავი მექანიზმი: იგი პაციენტებს არარაციონალური, სარისკო თვითმკურნალობისგან იცავს და ხელს უწყობს პირადი ფინანსური სახსრების ოპტიმიზაციას ფარმაცევტულ პროდუქტებზე. ამასთანავე, კრიტიკული აზროვნება უზრუნველყოფს ფსიქო-ემოციურ მდგრადობას და გამორიცხავს ინტერნეტ-ძიებით გამოწვეულ შფოთვას. ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის ჭრილში, მიღებული ცოდნა მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობის ელექტრონული წიგნიერების ამაღლება უნდა გახდეს ეროვნული ჯანდაცვის სტრატეგიის ნაწილი, რაც ტრადიციული ეკონომიკური რეგულაციების პარალელურად, სისტემური პრობლემების გადაჭრის ეფექტურ პრაქტიკულ ბერკეტს წარმოადგენს.

საძიებო სიტყვები: ციფრული ჯანმრთელობის წიგნიერება, eHEALS, თვითმკურნალობა, ჯიბიდან გადახდები, კიბერქონდრია, ჯანდაცვის პოლიტიკა.

Abstract

In contemporary healthcare systems, irrational self-treatment and high out-of-pocket (OOP) payments present significant challenges, leading to financial burdens and adverse clinical outcomes. With the rapid evolution of digital technologies, the internet has become a primary source for health-related information; however, online misinformation can aggravate patient anxiety (cyberchondria). This master's thesis aims to evaluate the impact of digital health literacy

on self-treatment practices and the share of out-of-pocket expenditures on medications in Georgia, while also exploring its relationship with cyberchondria.

A quantitative research design was implemented, involving a sample of N=74 respondents, primarily consisting of highly educated younger demographics. Digital health literacy was measured using the international Electronic Health Literacy Scale (eHEALS). Due to the non-normal distribution of the data, Spearman's rank correlation coefficient (Spearman's ρ) was utilized as the non-parametric statistical test to assess the formulated hypotheses, with the significance level set at α= 0.05 ($p < 0.05$).

The empirical analysis revealed that the majority of respondents (59.5%) possess a high level of digital health literacy. Statistical testing demonstrated a highly significant, moderate negative correlation between digital literacy and the frequency of self-treatment (r_s = -0.41, $p < 0.001$). Furthermore, a statistically significant negative correlation was confirmed between digital health literacy and the proportional share of OOP spending on medications (r_s = -0.28, p = 0.016). Regarding the psychological aspect, no significant correlation was found between digital literacy levels and cyberchondria (r_s = 0.05, p = 0.670).

The findings indicate that high digital health literacy serves as a protective mechanism, deterring patients from engaging in risky, irrational self-treatment and encouraging the financial optimization of pharmaceutical spending. Moreover, critical appraisal skills protect individuals' psychological well-being, avoiding search-induced anxiety. Within the context of healthcare policy and management, this study demonstrates that enhancing public digital health literacy should be integrated into national healthcare strategies, offering an effective practical leverage alongside traditional economic regulations to mitigate systemic healthcare challenges.

Keywords: Digital Health Literacy, eHEALS, Self-treatment, Out-of-pocket Payments, Cyberchondria, Health Policy.